ხელშეკრულება #23
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ.ხელვაჩაური

20 მაისი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს [1]" პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელვაჩაურის №1 სკოლა (საიდენტიფიკაციო N 248386349) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნაზიმ სირაბიძის სახით - (შემდგომში „შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ივიჯი" მისამართი: ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა #66 (ს/კ 245439271) (შემდგომში „მიმწოდებელი)", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სხვადასხვა კომპიუტერული საქონლის მიწოდება (შემდგომში მომსახურეობა) (cpv 22800000) ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **181** (ასოთხმოცდაერთი ლარი) ლარს.

1.3 საქონლის ერთეულის ფასი და პარამეტრები განისაზღვრება ,, დანართი N1-ით"

2. საქონელის მიღება – ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

2.2. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ხარისხისა და წუნდების მიზეზის მითითებით

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების შედეგად მიღებული საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში .

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს მისაღები საქონლის ხარისხი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

5.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5.5. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ხელვაჩაურის რესურსცენტრის თანამშრომელი მანუჩარ ბოლქვაძე

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

7.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. გამოყენებული სამართალი

8.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

9. შეტყობინება

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2015 წლის 30 ივლისი

11. სხვა დებულებანი

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, საიდანაც თითო ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“ და „მომწოდებელთან“.

11.2 ხელშეკრულებას თან ერთვის „დანართი N1" , რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

12. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა მისამართი სოფ.ხელვაჩაური ს/კ 248386349 მიმღები ბანკი : სს.ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი : LBRTGE22 ა.ა GE02LB0121152450398000 სკოლის დირექტორი ნაზიმ სირაბიძე	შპს „ივიჯი“ მისამართი: ბათუმი, ჭავჭავაძის #66 ს/კ 245439271 მიმღები ბანკი: სს თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE23TB1063536020146701 შპს „ივიჯი“

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
კატრიჯის შევსება	2	15	30
კაბელი	100	0.95	95
კაბელის ჯეკი	5	0.20	1
კატრიჯი	1	55	55
ჯამი			181

0

სკოლის დირექტორი:

ნაზიმ ხირაბიძე

248386349

შპს „ევეჯი“

EVG

245439271

GEORGIA. "EVG" LTD

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მიღება-ჩაბარების აქტი

ხელვაჩაური 11 ივლისი 2015 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ერთის მხვრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლის დირექტორი ნაზიმ სირაბიძე (შემდგომში- მიმღები), მეორეს მხვრივ შპს „ივიჯი“ (შემდგომში მიმწოდებელი) ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შესრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნა, ხოლო მიმღებმა მიიღო სკოლისათვის სხვადასხვა კომპიუტერული საქონელი საქონელი.

სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა **181 ლარი.**
(ასოთხმოცდაერთი ლარი 20 თ)

მიღება -ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარისგან.

მიიღო: ნ.სირაბიძე

ჩაბარა: შპს „ივიჯი“